საქმე №330310024008751591
საქმე №3/1223-24

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ

18 მარტი, 2024 წელი **თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ირინა გოგოლაძე

მოსარჩელე - გურამ გაფრინდაშვილი

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

სასამართლომ განიხილა ხარვეზის შევსების შედეგად სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2024 წლის 21 თებერვალს გურამ გაფრინდაშვილის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილი იქნა სარჩელი, მოპასუხეების: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით - ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 19 დეკემბრის №1378 ბრძანება შპს „ჯორჯიან მანგანეზზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს (შესაძლებელს ხდის) ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურის დასახლებულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) ღია კარიერული წესით მოპოვებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 26 თებერვლის განჩინებით სარჩელზე დადგინდა ხარვეზი და მოსარჩელეს დაევალა **მოპასუხეთა წრის დაზუსტება.**

2024 წლის 11 მარტს მოსარჩელე მხარემ დაზუსტებული სარჩელით მომართა სასამართლოს, მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, იმავე სასარჩელო მოთხოვნით.

სასამართლომ განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიაჩნია, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს და იგი მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში.

სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების მოთხოვნებს, ამ ეტაპზე სარჩელის დასაშვებობა საეჭვოდ არ არის მიჩნეული, რის გამოც არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქმეზე განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნის საჭიროება. შესაბამისად, სარჩელი წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული და დასაშვებად ცნობილი.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს უფლება აქვთ ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები მათ თაობაზე.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა,

სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე - **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან** გამოთხოვილი უნდა იქნეს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის ვადა უნდა გაგრძელდეს 5 (ხუთი) თვემდე.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 22-ე, 26^2-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 284-ე, 285-ე, 446-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **გურამ გაფრინდაშვილის** სარჩელი მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;

2. დაიწყოს მოცემული საქმის მომზადება, მოპასუხეს გადაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების (საბუთების) ასლები, დაევალოს სარჩელზე შესაგებლისა და სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა სრულად (მათ შორის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 19 დეკემბრის №1378 ბრძანება შპს „ჯორჯიან მანგანეზზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“) დავალების შესასრულებლად განესაზღვროს 10 (ათი) დღის ვადა განჩინების ჩაბარებიდან;

3. №3/1223-24 ადმინისტრაციულ საქმეზე საქმის განხილვის ვადა გაგრძელდეს 5 (ხუთი) თვემდე;

4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე: **ირინა გოგოლაძე**